



**საქართველო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულო**



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 57  
04/10/2017

57-06-4-201710041750



**განკარგულება N57**

2017 წელი, 4 ოქტომბერი

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების  
სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

*მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კურორტ გომისმთაზე მდებარე (ს/კ 26.33.21.003) 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სასყიდლიანი აღნაგობის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობაში, 10წლისვადით, შ.პ.ს. „მაგთიკომი“-სათვის გადასაცემად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მიეცეს თანხმობა.*

*მუხლი 2. სასყიდლიანი აღნაგობის უფლებით გამოყენებულ მიწის ნაკვეთზე წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 300(სამასი) ლარით.*

*მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).*

*მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.*

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო